ასოებზე მონადირეები

მოსწავლეები სხვადასხვა ტექსტიდან ამოჭრიან ასოებს და აწყობენ სიტყვებს.

კლასი: I

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: ძველი ჟურნალ-გაზეთები, მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები, ბროშურები, ფურცელი, წებო, მაკრატელი.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსახელებს სხვადასხვა სიტყვას (ახლად შესწავლილი/ცნობადი/რთულად ამოსაკითხი და სხვ.).
- მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში ძველ ჟურნალ-გაზეთებში უნდა მოძებნონ საჭირო ასოები, ამოჭრან და დააწებონ ქაღალდზე იმგვარად, რომ მიიღონ მასწავლებლის მიერ დასახელებული სიტყვები.

გამარჯვებულია ის მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი, რომელიც ყველაზე სწრაფად და სწორად შეასრულებს დავალებას.